

ვის: _____

განმცხადებელი: _____

(გვარი სახელი მამის სახელი)

პირადი ნომერი: _____

მისამართი: _____

ტელ/მობ -----

გვერდების რაოდენობა: __ დანართის რაოდენობა: -----

თარიღი -----

განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე

საქართველოს კონსტიტუციის 41-მუხლისა და საქართველოს ზოგად ადმინსიტრაციული კოდექსის მე-3 თავის შესაბამისად გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- 1) _____
- 2) _____
- 3) _____
- 4) _____

ხელმოწერა _____

იმისავეს, რომ მოვიპოვოთ საჯარო ინფორმაცია უნდა მივმართოთ შესაბამის საჯარო დაწესებულებას წერილობითი განცხადებით, განცხადებაში უნდა მიეთითოს:

1. დაწესებულების დასახელება ან თანამდებობის პირის ვინაობა, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
2. მოთხოვნა;
3. თანდართული დოკუმენტების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. განმცხადებლის სახელი, გვარი და მისამართი;
5. განცხადების წარდგენის თარიღი და განმცხადებლის ხელმოწერა.

განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

პირმა შეიძლება ზეპირი ფორმით მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია. მას უარი არ უნდა ეთქვას ინფორმაციის გაცემაზე, ასეთ შემთხვევაში ზეპირი მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს წერილობით.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- ა) სხვა დასახელებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უფასოდ. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა. ასეთ შემთხვევაში გადახდილი თანხა უნდა ემთხვეოდეს ასლის გადაღების თვითღირებულებას.

- განმცხადებელი არ არის ვალდებული გადაიხადოს ასლის გადაღების საფასური საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას;
- კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერისას ან ინფორმაციის ელექტრონულად გადაგზავნისას;

- საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულება უარს ამბობს ინფორმაციის მოწოდებაზე ან არასრულად აწვდის ინფორმაციას, განმცხადებელს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება უარის მიღებიდან, ერთი თვის ვადაში, გადაწყვეტილება ჯერ აუცილებლად უნდა გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოში, საჩივრის არდაკმაყოფილების შემთხვევაში იგი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ამ პროცედურების გავლის გარეშე სასამართლო სარჩელს არ მიიღებს. გამონაკლის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც არ არსებობს აქტის გამომცემი პირის ზემდგომი.

სასამართლოში სარჩელის დასაშვებობის ერთ-ერთი კრიტერიუმია სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით წყდება და მიეკუთვნება არაქონებრივ დავებს, ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენს 100 ლარს, სააპელაციოში - 150 ლარს, ხოლო საკასაციოში - 300 ლარს. მოსარჩელის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი სრულად უბრუნდება მოსარჩელეს. საპროცესო ხარჯების ანაზღაურება ხდება თვით მხარეების მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მხარე რამოდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან შედგება ხარჯები მათ შორის თანაბრად ნაწილდება.

საჯარო დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე შესაბამისი მასალების მიღების წესი განსაზღვრულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით.